სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2020 წლის 26 ივნისი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვიტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“– ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვიტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვიტოს №19 დადგენილებაში (ვებგვერდი, 22/08/2017; სარეგისტრაციო კოდი010250020.35.120.016238) ცვლილების შეტანის საკითხი და **დაადგინა:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვიტოს №19 დადგენილებაში.

მუხლი 2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვიტოს №19 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედააქციით:

„დ“ პირზე, თუ მას ან/და მისი ოჯახის პირველი ან/და მეორე რიგის მემკვიდრეს აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის (გარდა პირადი/ოჯახის საცხოვრებელი დანიშნულებისა) უფლება სხვა საცხოვრებელ/არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე“;

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **კობა ძიძიგური**
მოვალეობის შემსრულებელი